18/07/2025

MES 7 25 0000886823

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2025 წლის 8 ივლისს 12:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

https://us02web.zoom.us/j/2234959888?omn=85226830258
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში -საბჭო) წევრები:

ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი - საბჭოს თავმჯდომარე;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს "გუდვილის" HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ნათია ბუთხუზი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი / საბჭოს მდივანი;
გიორგი ვეკუა - სსკ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ცერცვაძე - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორის მოადგილე/ საბჭოს წევრი;
დავით ჯინჭარაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი/ საბჭოს წევრი;
ეკატერინე გიგაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
გოჩა გოგიტიძე - სსიპ - სასწავლოს უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის პროფესიული მომზადების ცენტრის უფროსი / საბჭოს წევრი;
გოგიტა მშვენიერაძე - ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ "კონტრუქტ2" - ის სასწავლო პროცესებისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი / საბჭოს წევრი.

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიულ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
სოფიკო ბექირაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
ნინო ხელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

ლანა გაჩეჩილაძე
თეა ბარამაშვილი
ქეთევან ჭუჭულაშვილი
ხათუნა ფარეიშვილი
ქეთევან ჯანელიძე
ფრიდონ გოგიაშვილი
გიორგი კაკაშვილი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯი "იბერია"
ირაკლი ავალიანი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
ანა ცუცქირიძე - დირექტორის მოადგილე
დარეჯან ლოსაბერიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი
ლალი ღამბარაშვილი - ხარისხის სპეციალისტი
დავით ხელიძე - სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი
მაგდანა როხვაძე - ,,გრაფიკული დიზაინის" პროგრამის ხელმძღვანელი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეა
ვასილ კიკნაძე - დირექტორი
მაია ჩიხლაძე - დირექტორის მოადგილე
ხათუნა მაისაია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი
სერგო ტეფნაძე - რექტორი, ტ.მ.დ. პროფესორი
დავით ტეფნაძე - რექტორის პირველი მოადგილე
ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში

გიორგი ინასარიძე - რექტორის მოადგილე საფრენოსნო მომზადების დარგში, პროგრამის ხელმძღვანელი
ტატო ლაფაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
თამარ ხატიაშვილი - პროფესიული მასწავლებელი
ბექა ბუიძე - ტექნიკური მომსახურების სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი
თორნიკე ტეფნაძე - საფრენოსნო მომზადების ფაკულტეტის დეკანი
გიორგი ევგენიძე - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელი

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 12:00 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი
1. სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. ცენტრს არ ჰქონდა შუამდგომლობა.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლანა გაჩეჩილაძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2025 წლის 5 მაისის №486953 ბრძანების საფუძველზე, 2025 წლის 23 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ კოლეჯ "იბერიაში" (ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ. №61), (შემდგომში-დაწესებულება), პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "გრაფიკული დიზაინი" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 -ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტამდე შეისწავლა დაწესებულების მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, ხოლო ვიზიტის ფარგლებში შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ (შემდგომში - პროგრამა) განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე, დაათვალიერა პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო აუდიტორიები და ბიბლიოთეკის კატალოგი, შეაფასა საგანმანათლებლო მატერიალური რესურსების რელევანტურობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუ ჩაატარა პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და შესაბამის პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან. ვინაიდან განაცხადის თანდართულ ფაილებში პროგრამის განხორციელების ფორმა არაერთგვაროვნად იყო

დაფიქსირებული ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში დაზუსტდა და დასკვნაში მითითებულია პროგრამის განხორციელების ფორმად - ,,იმიტირებულ სამუშაო გარემოში''. დაწესებულებას 2.2 კომპონენტი შეფასებული ჰქონდა ,,მეტწილად'' და წარმოდგენილი იყო მატერიალური რესურსების შესყიდვის თაობაზე შესაბამისობის გეგმა. ვინაიდან ვიზიტის დროს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსები უკვე შესყიდული და ფიზიკურად წარმოდგენილი იყო კოლეჯში, ექსპერტებმა ,,2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსის'' კომპონენტის შეაფასეს სრული შესაბამისობით. აღსანიშნავია, რომ ვიზიტი მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში ჩატარდა. სტანდარტის დარღვევის ფაქტები არ გამოვლენილა. ექსპერტთა ჯგუფმა შეჯერებული პოზიციის საფუძველზე განმავითარებელი რეკომენდაციები გასცა.

განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 მასწავლებლებს აქვთ სწავლების გამოცდილებაც და სწავლის შედეგების შეფასების კომპეტენციაც. გასაუბრების დროს დაადასტურეს, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას ახორციელებენ, თუმცა არ აქვთ სრულყოფილი ინფორმაცია ვერიფიკაციის პროცესთან დაკავშირებით. სასურველია, კოლეჯმა მასწავლებლებს დამატებით შესთავაზოს სატრენინგო პროგრამა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციასა და შემდგომში მტკიცებულებების ვერიფიკაციასთან დაკავშირებით.

2.2.1.7 სასურველია, კოლეჯმა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი გაიანგარიშოს სრული ჯგუფისთვის, 15 პირის შემთხვევაში მოსალოდნელი შემოსავლები და ხარჯები.

2.3.1.2 ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ მიხედვით, პროგრამების განვითარებაზე ზრუნვა კოლეჯს შეუძლია როგორც საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში, ასევე, სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ინიცირების გაგზავნით. თუმცა, მიმდინარე ეტაპზე ცვლილების ინიცირების შესახებ ცენტრის ნაცვლად ინფორმაცია პროფესიული უნარების სააგენტოს ეგზავნება. რიგ შემთხვევაში კოლეჯის რეგულაცია გასაახლებელია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე და დამკვიდრებული სიახლეების მიხედვით, შესაბამისად, სასურველია კოლეჯმა უზრუნველყოს გარკვეული პერიოდულობით რეგულაციების განახლება მიმდინარე სიახლეების კვალდაკვალ.

2.4.1.4 კოლეჯის დირექტორის 2021 წლის 26 მარტის №47 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია'', რომლის მიხედვითაც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას სტუდენტთა ჩართულობით. თუმცა კოლეჯის რეგულაცია არ ითვალისწინებს პირისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებას. სასურველია, მეტი სანდოობისა და სტუდენტის ინტერესების დაცულობისათვის კოლეჯი ამტკიცებდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

2.4.1.5 პროგრამას არ აქვს მოდული ,,პრაქტიკული პროექტი“, რომელიც საჭიროებს კომპანიებთან ერთად განხორციელებას, კოლეჯი პარტნიორებთან გეგმავს მხოლოდ სასწავლო ექსკურსიებს სხვადასხვა მოდულის ფარგლებში. ამდენად, სასურველია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმებში დაზუსტდეს თანამშრომლობის პირობები.

2.4.2.1 კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის №34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (ცვლილების ბრძანება №31, 04.06.2024), რომელიც მოიცავს დანართი №1-ს, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაცია ხორციელდება შეფასების პროცესამდე მინიმუმ 2 კვირით ადრე. პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს (სასწავლო პრაქტიკის მენეჯერს) წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის

შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების წესი, ასევე, გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მუხლი 31-ის სახით, რომლის მიხედვით მოდულზე სწავლის დაწყებამდე, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, შეიმუშავებს სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტს და უთანხმებს დარგის სპეციალისტს. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ კოლეჯში დამკვიდრებული პრაქტიკით შეფასების ინსტრუმენტი შეფასების პროცესამდე 2 კვირით ადრე შემუშავდება მასწავლებლის მიერ. სასურველია, სტუდენტთა შეფასების პროცესთან დაკავშირებული საკითხები ერთგვარად რეგულირდებოდეს კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელ აქტებში. • ვიზიტის ფარგლებში მასწავლებლებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამების რაოდენობიდან გამომდინარე, რიგ შემთხვევაში, ვინაიდან კოლეჯს მხოლოდ ერთი პოზიცია აქვს სასწავლო პროცესის ადმინისტრირებისთვის (სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი) და ხშირად დაკავებულია, შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციისთვის მასწავლებლები კონსულტირებას გადიან ხარისხის მიმართულებით დასაქმებულ პირებთან - ხარისხის მართვის სისტემის მენეჯერი, ხარისხის მართვის სპეციალისტები. სასურველია, სტუდენტთათვის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური შეფასებისთვის და ასევე, ხარისხის მიმართულებით თანამშრომლებისთვის ინტერესთა კონფლიქტის სრულყოფილად გამორიცხვის მიზნით კოლეჯმა უზრუნველყოს ადამიანური რესურსების დამატება სასწავლო პროცესის მიმართულებით, ვინც ჩართული იქნებიან ვალიდაციის პროცესში. • პროგრამა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარებას, რეკომენდირებულია, კოლეჯმა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების საჭიროების დადგომამდე გონივრულ ვადაში შეიმუშაოს საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „გრაფიკული დიზაინი“

ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის დროს ექსპერტებს ადგილზე დახვდათ შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული მატერიალური რესურსები. კოლეჯმა შეისყიდა პროგრამით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად საჭირო კომპიუტერული ტექნიკა და სხვა მატერიალური რესურსიც: ,,სტანდარტული პერსონალური კომპიუტერ(ებ)ის კომპლექტი (სისტემური ბლოკი, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი) – 17 ცალი“ - მიღება-ჩაბარების აქტი №31; ,,გარე მყარი ვინჩესტერი 1 ტბ - 1 ცალი, ფლეშმეხსიერება USB Flash 32 GB – 3 ცალი, კომპიუტერის მაუსი - 15 ცალი, დინამიკი GENIUS – 1 ცალი, სვიჩი რვა პორტიანი - 1 ცალი“ - მიღება-ჩაბარების აქტი №37; ,,სამხატვრო სკამი ტუმბო (450X350X350სმ) – 30 ცალი, ნატურმორტის მაგიდა რეგულირებადი (600X450X450სმ) – 15 ცალი“ - მიღება-ჩაბარების აქტი №53; ფოტო პრინტერი Epson EcoTank L8100 MFP – 1 ცალი” - მიღება-ჩაბარების აქტი №54; ,,თაბაშირის ფიგურა სფერო 14 სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა კუბი 14 სმ/14სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა კონუსი 14სმ/22სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა ცილინდრი 11სმ/22სმ - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა პრიზმა - 15 ცალი, თაბაშირის ფიგურა პირამიდა - 15 ცალი“. ჯამში 42 195 ლარის ოდენობით, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტები. მატერიალური რესურსები გათვლილია 15 ადგილიანი ჯგუფისთვის სრულყოფილად. ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე კოლეჯის შეფასება ,,მეტწილად შეესაბამება'' აღნიშნულ კომპონენტში ექსპერტთა შეფასებით შეიცვალა ,,სრული შესაბამისობით''. C გარემო - განთავსებულია კოლეჯის სარგებლობაში არსებულ ეზოში. გარემოში განთავსებულია პროფესიული სტუდენტებისთვის 15 მაგიდა და სკამი. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განთავსებულია ერთი მაგიდა, სკამი და ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი. B გარემო - განკუთვნილია კომპიუტერული პროგრამების ასათვისებლად 15 პროფესიულ სტუდენტზე. ჩაწერილია პროგრამისთვის საჭირო კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები Adobe Photoshop, Adobe Illustrator, Adobe Indesign, FIGMA, Adobe After Effects, CorelDRAW. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ B გარემო გამოიყენება მხოლოდ ,,გრაფიკული დიზაინის''პროგრამის დარგობრივი მოდულების

განსახორციელებლად, ორ ცვლაში. ზღვრული რაოდენობის მეთოდოლოგიის მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. თუმცა კოლეჯის სამუშაო საათები გათვალისწინებულია 9-18 სთ-მდე. კოლეჯი პროგრამას ახორციელებს წელიწადში 1 ახალი ჯგუფის მიღებით და ორი ჯგუფის თანხვედრისას სასწავლო გეგმა იძლევა საშუალებას კოლეჯმა გაატაროს 2-ვე ნაკადი ერთდროულად უპრობლემოდ, დაახლოებით ნახევარი წელია თანხვედრა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გრაფიკული დიზაინი“ დამატების მიზნით განაცხადს თან ახლავს ფორმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ,,ადამიანური რესურსის შესახებ“, რომელშიც განსაზღვრულია პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ განსახორციელებელი მოდულების ჩამონათვალი. პროგრამას ჰყავს პროფესიული მოდულების განმახორციელებელი - 4 პირი, ხოლო ზოგადი და ქართული ენის მოდულების - 3 განმახორციელებელი. დარგობრივი მოდულებისთვის ძირითადად გამოყოფილია 2 განმახორციელებელი პირი. 3 პროფესიულ (თანამედროვე (AI, AR, VR) ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება გრაფიკულ დიზაინში; დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის; პრაქტიკული პროექტი/პორტფოლიო) და 2 ზოგად მოდულს (ინგლისური ენა; მეწარმეობა) მხოლოდ თითო განმახორციელებელი ჰყავს, თუმცა გასაუბრებით დადგინდა, რომ ზოგადი (ინგლისური ენა) მოდულის განმახორციელებელ პირს უდასტურდება (დარგობრივი ინგლისური ენა გრაფიკული დიზაინერისათვის) დარგობრივი მოდულის განხორციელების კომპეტენცია. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დადასტურდა მისი პირადი საქმით და ინტერვიუირებით. პროგრამის ხელმძღვანელი ამავდროულად პროგრამის 14 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,გრაფიკული დიზაინი“ არ მოიცავს საწარმოო პრაქტიკას. პროგრამა განხორციელდება იმიტირებულ გარემოში. თუმცა, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები კომპანიებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს: პროგრამაში არ არის განსაზღვრული ცალკე პრაქტიკული პროექტის მოდული. დაინტერესდა, შესაძლებელია თუ არა სხვა მოდულების საშუალებით განხორციელდეს საჭირო პრაქტიკული კომპეტენციების განვითარება, თუ მიზანშეწონილია, პროგრამის გაძლიერების მიზნით ცალკე პრაქტიკული პროექტის ჩართვა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებას გაფორმებული აქვს ოთხი მემორანდუმი, რომელთა ყველა ვერსიაში ერთნაირი პირობებია მითითებული და დასახელებულია "პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული პრაქტიკული მოდული". ექსპერტის თქმით, პროგრამაში ცალკე პრაქტიკული პროექტის მოდული არ არის გათვალისწინებული. მხოლოდ პროგრამის ბოლოს მოცემულია მოდული, რომელიც სახელწოდებით “პრაქტიკული პროექტი გრაფიკული დიზაინის შესრულებისთვის” არის წარმოდგენილი. ექსპერტთა ჯგუფმა რეკომენდაცია გასცა მოდულის დასათაურების კორექტირებაზე, რადგან დაწესებულება ამ მოდულში მოიაზრებდა სტუდენტების გაცნობას იმ სამუშაო გარემოსთან, რომელშიც მათ

მომავალში მოუწევთ საქმიანობა. აღნიშნული აქტივობა ექსკურსიულ ხასიათს ატარებდა. დამატებით, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სხვადასხვა მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა არ საჭიროებს დაწესებულების ფარგლებს გარეთ გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს: ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პედაგოგებისთვის დატვირთვის ზღვარი — მაქსიმუმ 30 საათი. საბჭოს წევრმა დააზუსტა, რეალურად რამდენი პედაგოგია ჩართული პროგრამის განხორციელებაში და როგორ ფიქრობს კოლეჯი ამ დატვირთვის გადანაწილებას, რადგან პროგრამა მოცულობითია და მაღალი დატვირთვა იკვეთება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება ორი ძირითადი მასწავლებელი. დაწესებულებას აქვს ერთგუნდიანი მიღების გეგმა, რაც გულისხმობს ერთ ჯგუფს ერთ მიღებაზე. წარმომადგენლის თქმით, შესაძლებელია, 30 საათამდე დატვირთვაც არ გახდეს საჭირო თითოეული მასწავლებლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო გეგმაში მითითებულია საერთო 30 საათი, აღნიშნული მოცულობა არ არის მხოლოდ ამ ორი პედაგოგის დატვირთვაზე გათვლილი, პროგრამაში შედის ზოგადი საგნების მოდულები, რომლებიც გადანაწილდება სასწავლო გეგმის შესაბამისად , სასწავლო დღეებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯისთვის "იბერია" "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, სსიპ კოლეჯს "იბერია" (ს/კ: 212682051) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "გრაფიკული დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1)** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

მეორე საკითხი: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჭუჭულაშვილი, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2025 წლის 29 აპრილის №457384 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეაში“ (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმების მიზნით. ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია. შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და შესაბამისად 2025 წლის 23 მაისს განხორციელდა ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეაში“ (ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. №15ა). ექსპერტები შეხვდნენ და გაესაუბრნენ დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციასა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. დათვალიერდა სასწავლო გარემოები/პრაქტიკის ობიექტები და მატერიალური რესურსები. დოკუმენტაციის ანალიზი, დათვალიერების და გასაუბრების შედეგები დეტალურად არის ასახული დასკვნაში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
ექსპერტის განცხადებით, მოდის ტექნოლოგია და დიზაინის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კოლეჯ პანაცეას პირველი კორპუსის, IV სართულზე, სადაც განთავსებულია: AC სასწავლო გარემო: სამხატვრო - რომელშიც პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობაა 15 საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი); პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), დაფით და საჭიროებისამებრ, მოდულის თემატიკიდან გამომდინარე პროფესიული სტუდენტებისთვის ხატვის ტექნიკური საშუალებებით. AC სასწავლო გარემო : საკონსტრუქტორო სახელოსნო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ტიპის ინვენტარით: კონსტრუირების მაგიდა, 15 სკამი

(სტანდარტული) პროფესიული სტუდენტებისათვის, მანეკენი (ქალის, კაცის, ბავშვის), სახაზავი იარაღების კომპლექტი (დიდი ცირკული, კუთხემზომი, ფარგალი, კონსტრუქტორის სახაზავები და სპლაინი), დაფა. AC სასწავლო გარემო: სამკერვალო - რომელიც აღჭურვილია პროგრამის განხორციელების მიზნისათვის შესაბამისი მატერიალური რესურსით ინვენტარით: 15 სხვადასხვა ტიპის საკერავი მანქანებით, მიმმართველი თათებით (თითოეული საკერავი მანქანისთვის), ხელით საკერავი ნემსების კრებულით, საუთოო მაგიდით, გარემოში ასევე არის უთო, სანტიმეტრული ლენტი, სათითე, სარღვევი, მეტრიანი სახაზავი, მაკრატელი, ქინძისთავების ნაკრები და სხვა. C სასწავლო გარემო : საგამომჭრელო, რომელიც აღჭურვილია: საგამომჭრელო მაგიდებით და საგამომჭრელო ინვენტარით. A სასწავლო გარემო: რომელშიც პროფესიულ სტუდენტთა საკლასო სამუშაო ადგილების რაოდენობაა 15 სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი); პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა და სკამი), დაფა, კომპიუტერი და პროექტორი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია საწარმო - შპს პრემიერატმ“, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს პროფესიული საგანანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგიისა და დიზაინის“ თანაგანმახორციელებელი. ხელშეკრულების თანახმად, პარტნიორის ბაზაზე განხორციელდება შემდეგი მოდულები: „საწარმოო პრაქტიკა“, „დარგის გაცნობა“ და „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლი“. ხელშეკრულებას დანართის სახით ახლავს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომელის არსებობაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად გადამოწმდა ორივე პრაქტიკის ობიექტზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე 11 მასწავლებელი, აქედან 6 განახორციელებს პროფესიულ მოდულებს. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას მათი დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატება კვირაში 40 საათს. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. ექსპერტთა შეფასებით დაკმაყოფილებულია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის დაწესებულების ბიბლიოთეკაში და გამოიყენება სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. პროგრამის სამი მოდულის: „საწარმოო პრაქტიკის“, „დარგის გაცნობისა“ და „სამკერვალო ნაწარმის ხარისხის კონტროლის“ განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „პრემიერატმთან“ (12.03.2025წ.) პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულების გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისა და დადასტურების შესაძლებლობა პროფესიული სტუდენტებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, თუ რატომ არის პროგრამისთვის არჩეული უცხო ენა რუსული და ყოფილა თუ არა სტუდენტების მხრიდან უკმაყოფილება აღნიშნულთან დაკავშირებით. ასევე დააზუსტა, რომ მეწარმეობის მოდულს ახორციელებს პირი, რომელსაც აქვს ექიმის კვალიფიკაცია.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ მეწარმეობის მოდულის განმახორციელებელი პირი ოფიციალურად ფლობს ექიმის კვალიფიკაციას, თუმცა მას აქვს მრავალწლიანი პრაქტიკული

გამოცდილება მეწარმეობის სფეროში. იგი ამავე დროს კოლეჯის დირექტორის მოადგილეა და მისი პირადი საქმე მოიცავს შთამბეჭდავ სამუშაო გამოცდილებას. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნულ პირს სრულად გააჩნია საჭირო კომპეტენცია მეწარმეობის მოდულის ხარისხიანად განხორციელებისთვის. რაც შეეხება რუსული ენის მოდულის არსებობას, დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება დაკავშირებულია საგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობასთან, პროგრამისთვის საჭირო ტექნიკური მასალებისა და ტერმინების უმრავლესობა რუსულ ენაზეა წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური ენის გამოყენებაც პრაქტიკაში ხდება, დაწესებულებამ მიიჩნია, რომ სტუდენტებისთვის სწავლების პროცესის გამარტივების მიზნით მიზანშეწონილია რუსული ენის ჩართვა მოდულად, რათა მათ შეძლონ პროფესიული მასალების უკეთ ათვისება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი პანაცეასთვის "მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ პანაცეას(ს/კ: 400023595) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "მოდის ტექნოლოგია და დიზაინის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანების №MES 9 25 0000452943 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 13 მაისს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის ბაზები, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები“
ექსპერტის განცხადებით, პროგრამის შემუშავების პროცესში უზრუნველყოფილია დაინტერესებული მხარეების — დამსაქმებლების, დარგის ექსპერტების, კურსდამთავრებულებისა და სხვა მონაწილე პირების ჩართულობა. ინიციატივა კონკრეტული პროგრამის შემუშავების თაობაზე განიხილება ICAO-ს (სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო

ორგანიზაცია), EASA-ს (ევროკავშირის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს) და საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს წარმომადგენლებთან. შესაბამისად ყველა პროგრამა, რომლის განხორციელებასაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულება პირდაპირ ეხმიანება დარგში არსებულ საჭიროებებს. დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისთვის. პროგრამების შემუშავების არგუმენტია აგრეთვე სამთავრობო სტრატეგია — სამოქალაქო ავიაციის სფეროში „ღია ცის პოლიტიკის“ განხორციელება და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის განვითარება. დადასტურების დამატებითი საფუძველია სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ წერილობითი კორესპონდენცია, სადაც აღნიშნულია მზაობა, კომპეტენციის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის ინიციატივას და აღნიშნული პროგრამები მიიჩნევს მნიშვნელოვან წინაპირობად ავიაციის დარგების განვითარების და სპეციალისტთა პროფესიული კომპეტენციის გაძლიერებისთვის. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია საწარმოო ბაზებისა და პრაქტიკის ობიექტების ხელმისაწვდომობა, რაც ხელშეკრულებით/მემორანდუმებით არის გამყარებული. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმებისა, დოკუმენტი ითვალისწინებს საერთაშორისო და ადგილობრივ რეგულატორთა, კერძოდ EASA-ის (European Union Aviation Safety Agency), ICAO-ს (International Civil Aviation Organization) და სსიპ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მიერ დადგენილ დირექტივებსა და სტანდარტებს. ზღვრული რაოდენობის საბოლოო განსაზღვრა ხორციელდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ. უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის “საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები” განსაზღვრულია 150 სტუდენტი. აქედან 100 იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს.ვიზიტის დროს დაწესებულებამ წარმოადგინა სასწავლო სივრცეების და პრაქტიკის ობიექტზე მეცადინეობის ცხრილები სივრცეების გამტარობის თვალსაჩინოებისათვის. ასევე, ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით შედგა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან. დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს შემდეგი მიდგომით - ყოველწლიურად მიიღებს კვოტის ნახევარს, ანუ 50 სტუდენტს ინტეგრირებულზე და 25 სტუდენტს არაინტეგრირებულზე. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო გადაყვანა გადაზიდვები” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B , შვიდი A გარემო, პროგრამის შესაბამისი C გარემო რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ასევე ლაბორატორიები ინტეგრირებული მოდულებისათვის, სასწავლო გარემოების აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, როგორც დაწესებულების, ისე პარტნიორ კომპანიებში. კერძოდ, მოდული „მგზავრის მომსახურება“-ს პრაქტიკა ხორციელდება პარტნიორ კომპანიაში შპს „ტავ ურბან საქართველო“, ხოლო მოდულების „ტვირთის მიღება-დასაწყობება“ და „გასაგზავნი ტვირთის ორგანიზება“ პრაქტიკას სტუდენტი გადის პარტნიორ კომპანიაში შპს „ლასარე“. უნივერსიტეტის გათვლით თითო ჯგუფში იქნება არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, გარემოც მოწყობილია ამ გათვლით. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია

ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროგრამის ფარგლებში სამი პროფესიული მოდული: მგზავრის მომსახურება; ტვირთის მიღება-დასაწყობება; გასაგზავნი ტვირთის ორგანიზება ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციებში. უნივერსიტეტის პარტნიორები არიან: • შპს ტავ ურბან საქართველო • შპს ლასარე. აღნიშნული ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ დარგში არსებულ გამოწვევებს, ასევე პროფესიული განათლების მიზნებსა და მნიშვნელობას. ისინი გამოხატავენ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია საკუთარი კომპანიისთვის კადრების შერჩევისა და მომზადების შესაძლებლობა. პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დადასტურებულია ოფიციალური ნებართვებით. უნივერსიტეტი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დადასტურებული ლიცენზიების საფუძველზე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია სწორედ აღნიშნული შესაბამისობა. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს: როგორ უზრუნველყოფს უნივერსიტეტი ზოგადი განათლების შედეგების ეფექტიან ინტეგრირებას პროფესიულ კომპონენტში ისე, რომ არ მოხდეს არცერთი კომპონენტის გამარტივება ან დაკარგვა, მათ შორის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნებისა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინტეგრირებული პროგრამების შემთხვევაში, პროგრამის სტრუქტურა ორ სასწავლო წელს მოიცავს. პირველი სასწავლო წლის განმავლობაში სრულად ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგნების სწავლება და შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევა. მხოლოდ მათი წარმატებით დაძლევის შემდეგ სწავლა გრძელდება პროფესიული კომპონენტით, რაც გულისხმობს პროფესიული სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ მოდულებს. შესაბამისად, არ ხდება სასწავლო მიზნების ურთიერთგადაკვეთა ან რომელიმე კომპონენტის შემცირება, დაცულია როგორც პროფესიული, ასევე ზოგადსაგანმანათლებლო ჩარჩოს მოთხოვნები.

დამატებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულ მოდულებს, რომლებიც პროგრამის ბოლოს ისწავლება, სტუდენტები გადიან შპს ლასარეში ან სხვა პარტნიორ კომპანიაში. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული მოდულები ძირითადად მეორე სასწავლო წელს ისწავლება, პირველ წელსაც ხდება პროფესიული თეორიული საგნების და ინტეგრირებული მოდულების სწავლება. აღნიშნულ განაწილება და მიდგომა სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად,შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები **(დანართი 3).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

მეოთხე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 28 აპრილის ბრძანების №MES 6 25

0000452850 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 13 მაისს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის გარემო, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)“

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A) ” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B , რამდენიმე A გარემო, პროგრამის შესაბამისი C გარემო რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. ასევე, ლაბორატორიები ინტეგრირებული მოდულებისათვის, სასწავლო გარემოები აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია, როგორც დაწესებულების, ისე პარტნიორ კომპანიაში. კერძოდ, მოდული „პრაქტიკა 1 (A)“ განხორციელდება დაწესებულების ბაზაზე, ხოლო მოდული „პრაქტიკა 2 (A)” განხორციელდება პარტნიორ კომპანიაში. პრაქტიკა ხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს“ ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში და კომპანიაში შპს ჯეო სქაი ტექნიკსი (150 პროფესიულ სტუდენტზე). პრაქტიკის ობიექტები აღჭურვილია მოდულის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. ასევე, სპორტის მოდულისთვის უნივერსიტეტს აქვს ფრენბურთის, კალათბურთის და ფეხბურთის მოედანი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისად. უნივერსიტეტის გათვლით, თითო ჯგუფში იქნება არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, გარემოც მოწყობილია ამ გათვლით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით. კერძოდ: პროგრამის ფარგლებში ერთი პროფესიული მოდული: „პრაქტიკა 2 (A)" ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში. უნივერსიტეტის პარტნიორია შპს ჯეო სქაი ტექნიკსი. აღნიშნული ორგანიზაციები სრულად აცნობიერებენ დარგში არსებულ გამოწვევებს, ასევე, პროფესიული განათლების მიზნებსა და მნიშვნელობას. ისინი გამოხატავენ მზაობას, აქტიურად ჩაერთონ პროფესიული განათლების პროცესში. მათთვის მნიშვნელოვანი მოტივატორია საკუთარი კომპანიისთვის კადრების შერჩევისა და მომზადების შესაძლებლობა. პარტნიორი დაწესებულებების საქმიანობა დადასტურებულია ოფიციალური ნებართვებით. უნივერსიტეტი პრაქტიკის ობიექტებს ირჩევს საკანონმდებლო მოთხოვნებისა და მაკონტროლებელი ორგანოს მიერ დადასტურებული ლიცენზიების საფუძველზე. შერჩევის მთავარი კრიტერიუმია სწორედ აღნიშნული შესაბამისობა. თანამშრომლობის მიზანია პროფესიულ სტუდენტს განუვითაროს პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოყენების პრაქტიკული უნარ–ჩვევები. პარტნიორი ორგანიზაცია ვალდებულებას იღებს: კოორდინაცია გაუწიოს პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას. უზრუნველყოს ინსტრუქტორ(ებ)ის, კოორდინატორის ან განმახორციელებელი პირ(ებ)ის გამოყოფა, რომლებიც უხელმძღვანელებენ სტუდენტთა პრაქტიკულ სწავლებას და გაუწევენ მათ მხარდაჭერას. პრაქტიკის ობიექტები, მათი საქმიანობის პრინციპიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, იძლევა შესაძლებლობას, სტუდენტების სწავლება განხორციელდეს როტაციის პრინციპით, რაც გულისხმობს ყველა სტუდენტის თანაბარ ჩართულობას სხვადასხვა სამუშაო პროცესში და სწავლების პროცესის მაქსიმალურად მრავალმხრივ და პრაქტიკაზე ორიენტირებულ მოწყობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 51-ე, 62-ე მუხლების შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური

მომსახურება (A)", რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებიპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

მეხუთე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 29/04/2025 ბრძანების №MES 1 25 0000452954 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 14 მაისს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)- SEP)" (განხორციელების ენა ინგლისური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა

დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის გარემო, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)“

ექსპერტის განცხადებით,პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B , რამდენიმე A გარემო, პროგრამის შესაბამისი C გარემო, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი. სასწავლო გარემოების აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია უნივერსიტეტის ბაზაზე. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს“ ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში. (პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილ ობიექტებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა საქართველოს მთავრობის განკარგულება (#1436, 07.08.2023), რის საფუძველზეც მინიჭებული აქვს თელავის აეროპორტში ოპერირების უფლება) პრაქტიკული სწავლების გარემო აღჭურვილია მოდულის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. მათ შორის, პროგრამის განხორციელების მიზნებისათვის უნივერსიტეტის საკუთრებაშია 5 საჰაერო ხომალდი. (მათ შორის 2024 წელს შეძენილი იქნა იტალიური წარმოების სამი ახალი საჰაერო ხომალდი: ორი Tecnam P2008JC დაერთიTecnam P-Mentor, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებთან. საჰაერო ხომალდები გამოიყენება პროგრამის ოთხი მოდულის განხორციელების მიზნით, კერძოდ: საფრენოსნო პრაქტიკა 1 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 2 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 3 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 4 (თვითმფრინავი) მოდულების მიზნობრიობით. უნივერსიტეტის გათვლით, თითო ჯგუფში იქნება არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, გარემოც მოწყობილია ამ გათვლით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან

დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად პარტნიორი დაწესებულება ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს არ ყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, გოჩა გოგიტიძემ, კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, მოითხოვება თუ არა რაიმე სახის ნებართვები ან რეგულაციები თვითონ ფრენების უშუალო განხორციელებისთვის, გარდა მეტეოროლოგიური პირობებით შესაძლო შეზღუდვებისა.

დარგის ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო ფრენები ხორციელდება იმგვარად განლაგებულ ლოკაციაზე, რომელიც ე.წ. G კლასის საჰაერო სივრცეს მიეკუთვნება. აღნიშნული სივრცე წარმოადგენს არაკონტროლირებად ზონას, სადაც სპეციალური ნებართვები არ არის სავალდებულო. ექსპერტის თქმით, როდესაც ფრენები განხორციელდება თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ან სხვა კონტროლირებადი ზონის საჰაერო სივრცეში, კონკრეტული სასწავლო აეროდრომის მდებარეობა და საჰაერო სივრცის სტატუსი იძლევა იმის საშუალებას, რომ ფრენები განხორციელდეს ყოველგვარი ბიუროკრატიული ან ტექნიკური ნებართვების გარეშე. ასევე, მეტეოროლოგიური პირობებიც ხელსაყრელი უნდა იყოს. ხშირ შემთხვევაში, აღმოსავლეთ საქართველოში ცუდი ამინდის ფონზეც კი, აეროდრომის ლოკაცია მეტწილად სტაბილურ ამინდს ინარჩუნებს. აღნიშნული მდგომარეობა სტატისტიკურადაც დასტურდება და წარმოადგენს ერთ-ერთ უპირატესობას სასწავლო ფრენების უწყვეტი ორგანიზებისთვის.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს: რამდენად მისაღებია რომ სრული ზოგადი განათლების მქონე სტუდენტმა წარმატებით შეითვისოს ისეთი ტექნიკური მოდულები, რომლებიც მოიცავს რთულ ტერმინოლოგიას და სპეციალურ დარგობრივ შინაარსს (მაგალითად, საჰაერო ხომალდის აგებულება, დანიშნულება, ტექნიკური კომპონენტები და ა.შ.). ასევე, დააკონკრეტა კითხვა იმაზე, თუ როგორ და რა საფუძველზე ხდება B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნის განსაზღვრა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, B2 დონის ინგლისურის ენის ცოდნა განსაზღვრულია საერთაშორისო საავიაციო სტანდარტებით. კერძოდ, ევროპის ავიაციის უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) მიერ დამტკიცებული რეგულაციებით. აღნიშნული სტანდარტები სავალდებულო სახეს იღებს საქართველოსთვისაც, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ექსპერტმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნული დონე აუცილებელია არა მხოლოდ თეორიული სასწავლო მასალის გასაგებად, არამედ პრაქტიკულ პროცესებშიც. თვით ფრენისას დისპეჩერთან კომუნიკაცია სრულად ინგლისურ ენაზე ხორციელდება და სტუდენტი ვალდებულია, ფლობდეს შესაბამის ენობრივ კომპეტენციას. რაც შეეხება ტექნიკური ტერმინოლოგიის ათვისების უნარს, ექსპერტმა განმარტა, რომ სწავლების პროცესში თითოეული ტექნიკური ტერმინი გაწერილია კონკრეტულ მოდულში და ეტაპობრივად, პროგრამის მიმდინარეობისას, ხდება შესაბამისი უნარებისა და ცოდნის განვითარება. გარდა ამისა, ინგლისური ენა თავად პროგრამის განუყოფელი ნაწილია. სასწავლო გეგმა მოიცავს სპეციალურ საავიაციო ინგლისურის მოდულს, რომელიც ინტენსიური რეჟიმით სრულდება. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტს არ გააჩნია B2 დონის ცოდნა პროგრამის დაწყებისას, მას შეუძლია უნივერსიტეტშივე გაიაროს შესაბამისი მოსამზადებელი კურსი. დამატებით, დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტების ნაწილი პროგრამაზე მოდის წინასწარი მოტივაციითა და გარკვეული საბაზისო ცოდნით. სპეციალობის სპეციფიკიდან გამომდინარე, აპლიკანტების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმოადგენს იმ პირებს, რომლებიც უკვე

დაინტერესებულნი არიან ავიაციით და გარკვეულწილად მობილიზებული არიან შესაბამისი ცოდნის მისაღებად. ზოგიერთ მათგანს უკვე გააჩნია გარკვეული პრაქტიკული ან თეორიული მომზადება, რაც სწავლების პროცესს აადვილებს.

ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტი შემუშავებულია საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად და ამ პროცესში უნივერსიტეტი არა მხოლოდ დამოუკიდებლად მონაწილეობდა, არამედ იყო თანამშრომლობაში შესაბამის მარეგულირებელ ორგანოებთან, მათ შორის საქართველოს საავიაციო სააგენტოსთან და ბაზარზე მოქმედ სხვა სექტორულ სუბიექტებთან. შესაბამისად, პროგრამა სრულად შეესაბამება დარგობრივი სტანდარტების მოთხოვნებს და ითვალისწინებს როგორც შიდა, ისე საერთაშორისო ხარისხის მექანიზმებს.

საბჭოს წევრმა, ნათია ბუთხუზმა, განმეორებითი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს თუ როგორია B2 დონის ინგლისური ენის კომპეტენციის დადასტურების მექანიზმი: წარმოადგენს თუ არა იგი მიღების მეორე ეტაპს, და აუცილებელია თუ არა სერტიფიკატის წარდგენა, როგორც ეს მეხუთე დონის პროგრამებისთვის ზოგადად არის მიღებული პრაქტიკა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული პროგრამა არის სრულად ინგლისურენოვანი და, შესაბამისად, ეროვნული შეფასებისა და გამოცდების ცენტრის (ნაეკ) მეშვეობით მიღების პროცედურა არ გამოიყენება. მინისტრის ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტს მინიჭებული აქვს უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს პროგრამაში ჩასარიცხი პირების შერჩევისა და შეფასების წესები. შესაბამისად, აპლიკანტს უწევს შიდა გამოცდის ჩაბარება, რომელიც მოიცავს ინგლისური ენის ცოდნის ტესტირებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წარმატებით გადალახავს ენობრივ ბარიერს, გადადის მიღების მეორე ეტაპზე — მოტივაციური გასაუბრება. აღნიშნული შერჩევის პროცესი სრულად რეგულირდება უნივერსიტეტის შიდა დებულებებითა და დოკუმენტაციით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ: 206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 5).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

მეექვსე საკითხი: შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან ჯანელიძე, მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო განხორციელებული ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28/04/2025 ბრძანების №MES 4 25 0000452849 საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა 2025 წლის 14 მაისს განახორციელა ავტორიზაციის ვიზიტი შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტში. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)" (განხორციელების ენა ინგლისური) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება. ვიზიტამდე, ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი და ვებგვერდზე განთავსებული დოკუმენტაცია. ჯგუფის წევრებს შორის გაიმართა შიდა შეხვედრები, დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი და განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები. აღნიშნული დღის წესრიგი წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას და ვიზიტიც მისი მიხედვით წარიმართა. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში. ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესზე, ადამიანურ რესურსებსა და მატერიალურ ბაზაზე პასუხისმგებელ პირებს, შრომის უსაფრთხოების

სპეციალისტს, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს. ასევე, ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო სასწავლო სივრცეები, პრაქტიკის გარემო, ბიბლიოთეკა და სხვა მატერიალური რესურსები. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაცია გაანალიზა დოკუმენტური მასალის, ვიზუალური დათვალიერების და ინტერვიუების საფუძველზე. ძირითადი მიგნებები ვიზიტის მსვლელობისასაც მიეწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს და სრულად შეჯამდა ვიზიტის დასასრულს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP“

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი ადამიანური რესურსი და ინფრასტრუქტურა პროგრამების ეფექტიანი განხორციელებისთვის. პროგრამების შემუშავების არგუმენტია აგრეთვე სამთავრობო სტრატეგია — სამოქალაქო ავიაციის სფეროში „ღია ცის პოლიტიკის“ განხორციელება და საქართველოს, როგორც რეგიონული ჰაბის განვითარება. დადასტურების დამატებითი საფუძველია სსიპ „საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს“ წერილობითი კორესპონდენცია, სადაც აღნიშნულია მზაობა, კომპეტენციის ფარგლებში, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის ინიციატივას და აღნიშნული პროგრამები მიიჩნევს მნიშვნელოვან წინაპირობად ავიაციის დარგების განვითარების და სპეციალისტთა პროფესიული კომპეტენციის გაძლიერებისთვის. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას “მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)” ერთვის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების დეტალური ჩამონათვალი. თითოეული მოდულის ფარგლებში განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო რესურსები — სასწავლო მასალები, ლიტერატურა, ტექნიკური საშუალებები და მატერიალური ბაზა, რომლებიც აუცილებელია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებას პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილი აქვს შემდეგი სივრცეები: რამდენიმე A გარემო, ორი B- გარემო, პრაქტიკა ხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს“ ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში და უნივერსიტეტის სიმულაციურ გარემოში. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება, როგორც ვიზუალური შემოწმებით, ისე წარმოდგენილი რესურსის ფლობის დოკუმენტაციით. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული მატერიალური და სასწავლო რესურსი შესაბამისია მოდულების სწავლის შედეგების და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, შესაბამისად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. კერძოდ, ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა დაწესებულების მფლობელობაში საგანმანათლებლო პროგრამის „მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)” განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია ორი B, რამდენიმე A გარემო, პროგრამის შესაბამისი C გარემო რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და სადემონსტრაციო საშუალებებით. საგამოცდო ცენტრი, რომელიც დარგობრივი თეორიული გამოცდების ჩასატარებლად არის მოწყობილი სასწავლო გარემოები აღჭურვილია მოდულის განხორციელების/სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ტექნიკით და ინვენტარით წარმოდგენილი მატერიალური რესურსის ნუსხის შესაბამისად. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება, დაგეგმილია უნივერსიტეტის

ბაზაზე. პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება თელავის აეროპორტი „მიმინოს“ ტერიტორიაზე მდებარე უნივერსიტეტის ტექნიკური მომსახურების საწარმოში. (პრაქტიკის კომპონენტისთვის განკუთვნილ ობიექტებთან დაკავშირებით, უნივერსიტეტმა წარმოადგინა საქართველოს მთავრობის განკარგულება (#1436, 07.08.2023), რის საფუძველზეც მინიჭებული აქვს თელავის აეროპორტში ოპერირების უფლება) პრაქტიკული სწავლების გარემო აღჭურვილია მოდულის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით. მათ შორის უნივერსიტეტის საკუთრებაშია 6 საჰაერო ხომალდი. (მათ შორის 2024 წელს შეძენილი იქნა იტალიური წარმოების სამი ახალი საჰაერო ხომალდი: ორი Tecnam P2008JC და ერთი Tecnam P-Mentor, რომლებიც სრულ შესაბამისობაშია, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებთან.) ასევე, უნივერსიტეტს აქვს კომპანია „Softeksim“-ის მიერ წარმოებული FNPT II+MCC ტიპის კომბინირებული ავიასიმულატორი, რომელიც აღჭურვილია Cessna-152; PA-34III და Beechcraft King Air C90 ტიპის საჰაერო ხომალდების ფრენის პროგრამული უზრუნველყოფით, სადაც, ასევე, განხორციელდება პრაქტიკული სწავლება. საჰაერო ხომალდები და კომბინირებული ავიასიმულატორი გამოიყენება პროგრამის ხუთი მოდულის განხორციელების მიზნით. კერძოდ, საფრენოსნო პრაქტიკა 1 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 2 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 3 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 4 (თვითმფრინავი), საფრენოსნო პრაქტიკა 5 (თვითმფრინავი).უნივერსიტეტის გათვლით თითო ჯგუფში იქნება არაუმეტეს 25 პროფესიული სტუდენტი. შესაბამისად, გარემოც მოწყობილია ამ გათვლით. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, შესაბამისად, პარტნიორი დაწესებულება ამ პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს არ ყავს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა შეკითხვები განხილულ საკითხთან მიმართებით, საბჭოს წევრებს არ ჰქონდა შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლეს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ექსპერტებს გაწეული პროფესიონალური საქმიანობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტისთვის "მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტს (ს/კ:

206155328) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული "მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).** გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2025 წლის 8 ივლისი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 15:00 საათზე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ბუთხუზი ნათია

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	გრაფიკული დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია გრაფიკულ დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0211
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. ქუთაისი, ზურაბ ანჯაფარიძის ქ No61
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. No15ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	64
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	საჰაერო ხომალდების ოპერატიული ტექნიკური მომსახურება (A)
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ოპერატიულ ტექნიკურ მომსახურებაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-SEP)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ერთძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაცია (CPL(A)-MEP)
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მრავალძრავიანი თვითმფრინავის საფრენოსნო ექსპლუატაციაში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი N16
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	50
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	135
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	135